შპს «არკო»
საქართველო, ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. 52.
0160.
ტ: +995 593275677.

«ARCO» LTD
GEORGIA, TBILISI, ONIASHVILI ST. 52.
0160.
P: +995 593275677.

e-mail: info@arco.com.ge

17. 01. 2017. № დ-01/17

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ქვიშხეთის ქ. №35-ში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის და მასზე პროექტით გათვალისწინებულს ორი სართულის დამატების შესაძლებლობის შესახებ.

ამხანაგობა "ქვიშხეთი 35"-თან გაფორმებული ხელშეკრულება №ხ-02/17-ის საფუძველზე შპს "არკო"-ს სპეციალისტების მიერ შესწავლილ იქნა ქ. თბილისში, ქვიშხეთის ქ. №35-ში მდებარე მშენებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა და მასზე პროექტით გათვალისწინებულს ორი სართულის დამატების შესაძლებლობა.

არსებული შენობა წარმოადგენს კარკასული ტიპის რკინაბეტონის კონსტრუქციას მიწისქვეშა ავტოსადგომით. შენობა ცხრა სართულიანია გაბარიტული ზომებით ღერძებში 15.40x25.90 მ. სართულების სიმაღლე ცვალებადია, მიწისქვეშა ავტოსადგომის სიმაღლე არის 2.95 მ, I-სართულის სიმაღლე არის 2.90 მ, ხოლო დანარჩენი სართულები არის 3.35 მ. მალების სიგრძე მერყეობს 2.05 დან 6.00 მ-ის ფარგლებში. მის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს სხვადასხვა კვეთის მქონე მონოლითური რკინაბეტონის სვეტები და 25 სმ სისქის ვერტიკალური სიხისტის დიაფრაგმები, რომელიც სართულის დონეზე შეკრულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილებით, ფილის სისქე არის 18 სმ, ხოლო წობოების განივი კვეთი 40.0X50.0 სმ. შენობის საძირკველს წარმოადგენს რკინაბეტონის ფილა სისქით 0.80 მ. მიწისქვეშა ავტოსადგომის კედლები პერიმეტრზე მონოლითური რკინაბეტონისაა სისქით 25 სმ. კიბე ორ მარშიანია და მოწყობილია რკინაბეტონის კონსტრუქციებში.

შენობის მზიდი კონსტრუქციები გამოკვლეული იქნა ვიზუალური დათვალიერებით, შესწავლილ იქნა ბეტონის ხარისხი სიმტკიცეზე და არმატურის შესაბამისობა პროექტით გათვალისწინებულ დიამეტრებთან. აგრეთვე შემოწმდა და გადაანგარიშდა არსებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით აგებული საანგარიშო მოდელი და დადგინდა, რომ შენობის ვერტიკალური ელემენტების ბეტონის ხარისხი სიმტკიცეზე აკმაყოფილებს პროექტში მოცემულ B25 კლასს, ხოლო არმატურა შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ დიამეტრებს. შენობა

როგორც სივრცითი-გეგმარებითი ისე კონსტრუქციული გადაწყვეტებით აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სეისმურ რაიონებში მშენებლობის ნორმატული დოკუმენტების მოთხოვნებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შენობაზე ორი სართულის დაშენება შესაძლებელი იქნება კონსტრუქციული ელემენტების – რკინაბეტონის სვეტების და რიგელების გამოყენებით, ხოლო სახურავი უნდა მოეწყოს მსუბუქი კონსტრუქციებით. ზემოთ აღნიშნული ცვლილება არ მოახდენს ზეგავლენას არსებული შენობის მდგრადობაზე.

შპს "არკო"-ს
მთავარი ინჟინერი: /კობა კობალაძე /